

## იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტების მიმოხილვა

დავით ბაზერაშვილი\*  
ნიკოლოზ რურუა\*

წინამდებარე კანონპროექტთა მოკლე მიმოხილვა ასახავს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2002 წლის პირველ საკანონმდებლო კვარტალში განხორციელებულ საქმიანობას. ქვემოთ განხილული პროექტების ნაწილი შემუშავდა საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, ხოლო ნაწილი უშუალოდ იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ გამოხმაურებას წარმოადგენს საზოგადოების ცხოვრებაში წამოჭრილ პრობლემურ საკითხთა გადასაჭრელად და არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის შესავსებად. მიმოხილვა მომზადებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით.

### 1. საქართველოს კანონის პროექტი „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“

წინამდებარე პროექტი მომზადდა იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და გვთავაზობს მნიშვნელოვან სიახლეებს ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის სფეროში. კანონპროექტის მიზანია უნიფიცირებული გახადოს სხვადასხვა სფეროში და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის ძირითადი პირობები და პროცედურა, ამომწურავად განსაზღვროს ლიცენზირებასა და ნებართვას დაქვემდებარებული საქმიანობები.

კანონის წინაშე თანასწორობა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, მისი საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მენარმეთა ინტერესების, მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა — არის ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს და შეესაბამებოდეს ლიცენზირებისა და ნებართვების გაცემის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

პროექტი გვთავაზობს ლიცენზირებასა და ნებართვებს დაქვემდებარებული საქმიანობის ამომწურავ ჩამონათვალს. ამგვარად, დაუშვებელი ხდება არა მხოლოდ იმ სახის ლიცენზირებისა და ნებართვების შემოღება, რაც ამ კანონით არ არის განსაზღვრული, არამედ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის დაწესებაც, რომელიც თავისი არსით სალიცენზიო ან სანებართვო ხასიათის იქნება.

კანონპროექტი განსაზღვრავს ლიცენზიის და ნებართვის გაცემის პროცედურას. კერძოდ, ლიცენზიის გაცემა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, ხოლო ნებართვების გაცემა, ძირითადად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით. ზოგიერთი კატეგორიის ნებართვა, რომელიც დაკავშირებულია „შეზღუდულ რესურსებთან“, გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით. ამ შემთხვევაში, კანონი ითვალისწინებს კონკურსის მოწყობას, რაც ხელს უწყობს კონკურენციას ამ სახის ნებართვების მიღების დროს.

მოცემული პროექტი არის მცდელობა შეიქმნას სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც შეზღუდავს ლიცენზირებისა და ნებართვათა გაცემის სფეროში არსებულ კორუფციას. იგი ეხმარება ეროვნულ ანტიკორუფციულ პროგრამას და ამასთან, როგორც კანონპროექტის ავტორები აღნიშნავენ, მასში გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებიც.

\* GEPLAC-ის ექსპერტი სამართლებრივ საკითხებში.

კანონის ამოქმედება გათვალისწინებულია 2003 წლის 1 იანვრიდან, რათა, ამ პერიოდისათვის, მასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები და ამგვარად თავიდან იქნას აცილებული შესაძლო სამართლებრივი სირთულეები.

## **2. საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული მედიის შესახებ“**

„ელექტრონული მედიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება საქართველოს ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას წარმოადგენს, რომელსაც ითვალისწინებს ევროპის საბჭოს 1999 წლის №209 რეზოლუცია. კანონის პროექტი ეხება საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული მაუწყებლობის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ელექტრონული მაუწყებლობის სახეებს, ადგენს ელექტრონული მედიის საქმიანობის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციურ საფუძვლებს. კანონპროექტის მიხედვით ელექტრომედიის ცნება მოიცავს ტელევიზიასა და რადიოს, ანუ მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებებს, რომლებიც ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით ახორციელებენ ტელერადიოპროგრამებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. კანონპროექტი განსაზღვრავს მაუწყებელთა სახეებს, აგრეთვე, მაუწყებლების უფლებებსა და მოვალეობებს ელექტრონული მაუწყებლობის განხორციელებისას.

## **3. საქართველოს კანონის პროექტი „სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ“**

მოცემული კანონპროექტი ადგენს რელიგიურ გაერთიანებათა სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს რელიგიური გაერთიანების ცნებას, ასეთი გაერთიანების რეგისტრაციის პირობებს. პროექტით გათვალისწინებულია რელიგიური გაერთიანების საქმიანობის აკრძალვის და რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობა შესაბამისი აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში. გარდა ამისა, პროექტი ანებს რელიგიურ გაერთიანებათა საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ანუ ასეთი გაერთიანების წარმომადგენლობის (ფილიალის) დაარსებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, რელიგიური ორგანიზაციის სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობის პირობებსა და რელიგიური საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ქონების განკარგვის წესს.

## **4. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ**

წარმოდგენილი კანონპროექტი გვთავაზობს სისხლის სამართლის კოდექსის 148-ე მუხლის ახალ რედაქციას, რომლითაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის – ესე იგი, წინასწარი შეცნობით ცრუ ცნობების გავრცელებისათვის, რაც ჩადენილია სხვისი პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის მიზნით. მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას იგივე ქმედებისათვის, თუ იგი ჩადენილია პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების გამოყენებით, ნაბეჭდ, საჯაროდ დემონსტრირებულ და/ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში ან საჯარო გამოსვლისას. მუხლს მესამე ნაწილით ემატება დანაშაულის ახალი მაკვალიფიცირებელი ნიშნები — ცილისწამება ჩადენილი ცილისწამებისათვის ადრე მსჯავრდებული პირის მიერ; მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაბრალებით; გარდაცვლილი პირის მიმართ; რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. პროექტით განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციების მთელი სპექტრი, კერძოდ, ტუსაღობა, თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და ჯარიმა.

წარმოდგენილი პროექტის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კოდექსს ემატება 148<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა შეურაცხყოფისათვის. მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან. მეორე ნაწილის თანახმად, დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია შეურაცხყოფა ჩადენილი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების გამოყენებით. მესამე ნაწილი კი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შეურაცხყოფისათვის, რომელიც ჩადენილია ადრე ცილისწამების ან შეურაცხყოფისათვის მსჯავრდებული პირის მიერ; გარდაცვლილი პირის მიმართ; რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. მითითებული დანაშაულისათვის პროექტით განსაზღვრულია სანქციები ტუსალობის ან თავისუფლების აღკვეთის, გამასწორებელი სამუშაოს, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, ან ჯარიმის სახით.

**5. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“**

მოცემული კანონპროექტი გადასახადებზე თავის ამრიდებელთა, ფალსიფიკატორთა, შავი და ფერადი ლითონების დამტაცებელთა და სხვა კანონდამრღვევთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციების გამკაცრების თაობაზე მომზადებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით.

კანონპროექტით შეცვლილია ფალსიფიკაციის დისპოზიცია (197-ე მუხლი) და გამკაცრებულია სანქციები ისეთი დანაშაულისათვის, როგორცაა ცრუ მენარმეობა (193-ე მუხლი), სასაქონლო ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება (196-ე მუხლი), ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა, ან რეალიზაცია (198-ე მუხლი), მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია, ან გადაზიდვა (მე-200 მუხლი), საბაჟო წესის დარღვევა (214-ე მუხლი), გადასახადისათვის თავის არიდება (218-ე მუხლი), მომხმარებლის მოტყუება (219-ე მუხლი), ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა (303-ე მუხლი) და ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება (304-ე მუხლი).

პროექტის პირველი მუხლის მესამე პუნქტით ფალსიფიკაციასთან ერთად დასჯადად ცხადდება ასევე წინასწარი შეცნობით ფალსიფირებული ნივთის გასაღება, ხოლო დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა იგივე ქმედება ჩადენილი დიდი ოდენობით (500 ლარის ზევით).

**6. საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“**

კანონპროექტი გადასახადებზე თავის ამრიდებელთა, ფალსიფიკატორთა, შავი და ფერადი ლითონების დამტაცებელთა და სხვა კანონდამრღვევთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული სანქციების გამკაცრების მიზნით მომზადებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით.

მოცემული კანონპროექტით გამკაცრებულია სანქციები ისეთი სახის ადმინისტრაციული გადაცდომისათვის, როგორცაა მენარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევა (153-ე მუხლი), მომხმარებლის უფლებების შელახვა (158<sup>1</sup>-ე მუხლი), სერტიფიკატის გაცემის წესების დარღვევა (163-ე მუხლი), სტანდარტიზაციის წესების დარღვევა (177<sup>1</sup>-ე მუხლი), პროდუქციის რეალიზაციის (მიწოდების, გაყიდვის), სამუშაოებისა და მომსახურების განწევის შეჩერების თაობაზე მინერლობის მოთხოვნების დარღვევა, სერტიფიკაციის შესახებ დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევა, სავალდებულო სერტიფიკაციის დაქვემდებარებული პროდუქციის რეკლარმების წესების დარღვევა (შესაბამისად 177-ე მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილები).

კანონპროექტის მიხედვით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158-ე მუხლი (სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება), რომლის თანახმად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის, ასევე საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების, გეოგრაფიული აღნიშვნის, ან საფირმო სახელწოდების უკანონო გამოყენებისათვის. დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა იგივე ქმედების ჩადენა განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, რაც შესაბამისად იწვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ სანქციათა გამკაცრებას.

### **7. საკანონმდებლო პაკეტი:**

საქართველოს საარჩევნო კოდექსში, „პროკურატურის შესახებ“ და „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და „კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მოცემული პროექტი მომზადებულია „ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 აპრილის №430 განკარგულებით დამტკიცებული ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული დავალების შესაბამისად. პაკეტი მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სამართლებრივი იმუნიტეტების სისტემის სრულყოფას და მის მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან.

საკანონმდებლო ცვლილებები შემუშავებულია ანტიკორუფციული ღონისძიებების შემფასებელი ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტის (გრეკო) მიერ საქართველოს მიმართ მიღებული მოხსენების საფუძველზე. თუმცა პროექტი სრულად არ ასახავს ამ დოკუმენტში მოცემულ რეკომენდაციებს, რაც, როგორც ავტორები აღნიშნავენ, განპირობებულია საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობით.

ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლსა და „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლში ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტების გაუქმებას გამოძიებლებისა და პროკურატურის სისტემის მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ (გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი, საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი, ქ. თბილისის პროკურორი და გენერალური პროკურატურის კოლეგიის სხვა წევრები).

საქართველოს საარჩევნო კოდექსის ცვლილებების პროექტი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტის ფარგლების შემცირებას საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატისათვის. ცვლილების შედეგად, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე დაუშვებელი იქნება პარლამენტის წევრობის კანდიდატის დაკავება ან დაპატიმრება მხოლოდ ნაკლებად მძიმე<sup>1</sup> დანაშაულის ბრალდებით, ე.ი. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებზე იმუნიტეტი არ გავრცელდება.

პაკეტი ასევე ითვალისწინებს საქართველოს სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, მისი მოადგილეების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორების მიერ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას, წასწრების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის სავალდებულო თანხმობის გაუქმებას იმუნიტეტის მოხსნისათვის.

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე.